



საკოორდინაციო საბჭოს შეხვედრის ოქმი

თარიღი: 21 აპრილი, 2015 წელი

დრო: 12:00 – 13:30 საათი

შეხვედრის ადგილი: ევროპის სახლი

შეხვედრას ესწრებოდნენ:

1. ლაშა ტულუში - საქართველოს ეროვნული პლატფორმის თავმჯდომარე, ლიბერალური აკადემია თბილისი
2. ნათია კუპრაშვილი - პირველი სამუშაო ჯგუფის კოორდინატორი, საქართველოს რეგიონულ მაუწყებელთა ასოციაცია
3. კახა გოგოლაშვილი - მეორე სამუშაო ჯგუფის კოორდინატორი, საქართველოს სტრატეგიისა და საერთაშორისო ურთიერთობების კვლევის ფონდი
4. მანანა წულაია - მეორე სამუშაო ჯგუფის კოორდინატორი, ბიოლოგიურ მეურნეობათა ასოციაცია "ელკანა"
5. ანზორ დუნდუა - მესამე სამუშაო ჯგუფის კოორდინატორი, საქართველოს ენერგორესურსების ეფექტურად გამოყენების ასოციაცია
6. მანანა დევიძე - მესამე სამუშაო ჯგუფის კოორდინატორი, ფონდი "კავკასიის ეკოლოგია"
7. ნუკრი ყველაშვილი - მეოთხე სამუშაო ჯგუფის კოორდინატორი, ახალგაზრდული ალტერნატივა
8. ირაკლი პეტრიაშვილი - მეხუთე სამუშაო ჯგუფის კოორდინატორი, საქართველოს პროფესიული კავშირების გაერთიანება

განსახილველი საკითხები:

1. სამოქალაქო საზოგადოების პლატფორმის (ქართულ-ევროპული პლატფორმა) კრებასთან დაკავშირებული საორგანიზაციო საკითხები
2. სხვა

საკოორდინაციო საბჭოს შეხვედრა გახსნა ეროვნული პლატფორმის თავმჯდომარემ და დამსწრეებს გააცნო შეხვედრის დღის წესრიგი.

საბჭოს წევრებმა განიხილეს სამოქალაქო საზოგადოების პლატფორმის (ქართულ-ევროპული პლატფორმა) კრების ჩატარებასთან დაკავშირებული საორგანიზაციო საკითხები. პლატფორმის თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ სამოქალაქო საზოგადოების პლატფორმის ფორმირება მიმდინარეობს უკრაინაშიც, სადაც დასრულდა მოლაპარაკებების ერთი ეტაპი. შედეგად უკრაინის ეროვნული პლატფორმა შეთანხმდა გარკვეულ პრინციპებზე, თუმცა ამ მიმართულებით მუშაობა კვლავაც გრძელდება. აღნიშნულ პროცესს დამკვირვებლის სტატუსით ესწრებოდა ეროვნული პლატფორმის თავმჯდომარე.

საქართველოს შემთხვევაში პლატფორმის საერთო კრება შეთანხმდა ქართულ-ევროპული პლატფორმის სტრუქტურაზე, რაოდენობასა და შემადგენლობაზე, რაც აისახა კიდეც ახალ წესდებაში. ქართულ-ევროპული პლატფორმის კრებაზე გადაწყდება თუ რომელი მიმართულებებით მოხდება პლატფორმის წევრების შერჩევა. თავმჯდომარის თქმით, პლატფორმის წევრთა რაოდენობა შესაძლოა გადაიხედოს და თავდაპირველად შეთანხმებული 15 წევრიდან 18-მდე გაიზარდოს. დამსწრეებმა იმსჯელეს კრების ჩატარების თარიღზე და შეთანხმდნენ მათის პირველ ნახევარზე. გადაწყდა, რომ კრების გამართვამდე ჩატარდება საინფორმაციო შეხვედრები სამუშაო ჯგუფებში.

პლატფორმის თავმჯდომარემ დამსწრეებს მიაწოდა ინფორმაცია რიგის სამიტისთვის მონაწილეთა შერჩევასთან დაკავშირებით. მისი თქმით, სამიტი არის არა პლატფორმების, არამედ ლატვიის საგარეო საქმეთა სამინისტროს ღონისძიება. საქართველოს ეროვნულ პლატფორმასთან კონსულტაციით შეირჩა ქართული დელეგაციის მხოლოდ ნაწილი. ესენი არიან სამუშაო ჯგუფების კოორდინატორები (თითო ჯგუფიდან თითო კოორდინატორი - ის, რომელმაც მეტი ხმა მიიღო არჩევნებში), პლატფორმის თავმჯდომარე და ბრიუსელის საორგანიზაციო კომიტეტის ორი ქართველი წევრი. ფონდი „ღია საზოგადოება საქართველოს“ მხარდაჭერით 6 არასამთავრობო ორგანიზაცია ახორციელებს პროექტს ასოცირების ხელშეკრულების მონიტორინგზე. მათგან შერჩეულია 2 კანდიდატი, რომლებიც მონაწილეობას მიიღებენ აღნიშნულ პროექტთან დაკავშირებით რიგში დაგეგმილ პრეზენტაციაში. დელეგაციაში არიან ასევე დამოუკიდებლად შერჩეული მონაწილეები, რომელთა კანდიდატურები არ შეთანხმებულა პლატფორმასთან.

თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ საქართველოს ეროვნული პლატფორმის ინიციატივით რიგის სამიტისთვის მომზადდა განცხადება აღმოსავლეთ პარტნიორობის მონაწილე ქვეყნებისთვის ევროპული პერსპექტივის აღიარების შესახებ. ასეთივე განცხადება მიიღეს უკრაინისა და მოლდოვის ეროვნულმა პლატფორმებმა. უახლოეს დღეებში შემუშავდება საერთო განცხადება და დაიგეგმება ადვოკატირების ერთიანი კამპანია.

საბჭოს წევრები შეთანხმდნენ, რომ 11-13 მაისის კვირაში ევროპის რამდენიმე ქალაქში სათვისტომოების მონაწილეობით ერთდროულად მოეწყობა აქციები აღმოსავლეთ პარტნიორობის მონაწილე ქვეყნებისთვის ევროპული პერსპექტივის აღიარებისა და უვიზო რეჟიმზე გადასვლის მოთხოვნით. თავმჯდომარის თქმით, მიმდინარეობს მუშაობა საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროსთან, იგეგმება ასევე შეხვედრები ევროკავშირის წევრი ქვეყნების ელჩებთან. მეოთხე სამუშაო ჯგუფის კოორდინატორმა წარმოაყენა ინიციატივა რიგაში სამიტის მიმდინარეობის დროს აქციის გამართვის შესახებ.

საათნახევრიანი მსჯელობის შემდეგ საბჭოს შეხვედრა დასრულდა.

შეხვედრის მდივანი: ნატალია აბრამია